ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-011817465**

თარიღი: **23.06.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

ვლადიმერ ჩიხლაძე

პირადი ნომერი: 01033004448

მისამართი: თბილისი ბ.ჭიჭინაძის ქ. N 29 ბ. 7ბ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 9 თებერვლის AR1576503 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოადგენილი მიწის ნაკვეთისთვის ქ. თბილისის მერის განკარგულების შესაბამისად არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენების) (მრავალფუნქციური–საოფისე, კომერციული) მიზნით, განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0.7, აღნიშნული დაფიქსირებულია სამსწახურის 2013 წლის 13 ივნისის №714972 გადაწყვეტილებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 21-ის შესაბამისად კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად. ვინაიდან პარამეტრების მომატების შემთხვევაში ნაკვეთზე ვრცელდება მომატების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების საკითხი ვერ განიხილება.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი